წელიწადი I-ლი

ბათომის ფურცელი

კვირა 14 ნოემბერი

ფასი 15 მან.

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 " " " . . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. საღ. 3ს.

№ 55 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

კვირიდან 14 ნოემბრიდან დაიწყება
კინო-რომანის ჩვენება
ნიღაბი თეთრი კბილებით
16 ეპიზოდი—32 ნაწ.
მთავარ როლს ასრულებს
ცნობილი პირლ-უაიტი
1 სერია. 1-ლი ეპიზოდი-რკინის ბრჭყალებში.
2 ეპიზოდი—მამა და შვილი.
მაქსი მსახურია უნებურათ.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

სურათი **ანნა კარენინას**
დიდი კოლოსალურ წარმატების გამო აჩვენებენ კიდევ ორ დღეს 10 და 11 ნოემბერს.
ანონსი პარასკევიდან, 12 ნოემბერიდან
სისხლმა თავი იჩინა და სხვა
5 ნაწილად.

ექიმი ი. ლ. პაპავა
ლებულობს შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული სუსუნატი) და სიფილისით ავათმყოფთ (შეშხაპუნება 606 და 914).
ყოველ დღე სიღამოს 5—7 საათამდე.
აზიზიეს მოედანი, სახალხო გვარდიის შტაბის გვერდით.

გემი **„პრაგა“**
14 ნოემბერს მოვა ბათომის ნავთსადგურში და ბარგის გადმოტვირთვის შემდეგ სამშაბათს 16 ნოემბერს უკანვე დაბრუნდება. გაივლის ანატოლიის, ბრინდიზის და ვენეციის ნავთსადგურებში
იღებს 1, 2, და 3 კლ. მგზავრებს და ბარგს.
ცნობის მიღება შეიძლება „ლოიდ-ტრიესტინოს“ სააგენტოში სანაპირო შესახ. № 4.

ბათომის მუშათა მაგიდა
ამით სთხოვს ყველა მუშა მოსამსახურეებს, ვინც კი სარგებლობს იაფფასიან სადილით, რომ ამა ნოემბრამდე წარმოადგინონ მაგიდის მიერ მიცემული მოწმობები
გამოსაცვლელად
ვინც ამ რიცხვამდე არ შეიძენს ახალ მოწმობას, იმას მაგიდა შეუწყვეტს იაფ-ფასიან სადილის მიცემას.
3—2 მუშათა მაგიდა.

დაიკარგა
საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ ბათომის საკონსულოდან მიცემული სურათიანი პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამოწერილობა ნიკოლოზ დავითის ძე თოფურიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

განცხადება
რადგანაც მობილიზაცია მოხდა და ჩვენი ამხანაგების უმეტესობას უწევს ჯარში გასვლა ამისათვის
რესტორანი ს ა ნ-რ ე მ ო.
═ ი ყ ი დ ე ბ ა ═
პირობის გაგება შეიძლება იქვე.
ამხანაგობა.

მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია
ამით აცხადებს, რომ ბათომში დაარსდა
პარტიის კომიტეტი
რომლის ბიუროც იმყოფება მარინეს ქუჩაზე № 16 სახლი ნიკიფორიდისა.
ბიურო ღიაა ნაშუადღევის 5-დან საღამოის 7 საათამდე.

განცხადება.
ამით ვაცხადებ, რომ კვირას, 15 ნოემბერს დილის 11 საათზე სამხედრო სასურსათო მაღაზიის კანცელარიაში გიროდოკში დანიშნულია
შეჯიბრება
სასურსათ-სანოვაგის გადაზიდვის შესახებ ოლქში მყოფ ჯარების ნაწილებისათვის.
შეჯიბრებაში, ვინც მიიღებს მონაწილეობას ს ა ჭ ი რ ო ა ბ ე.
სამხ. სასურსათო მაღაზიის გამგე

ბათომი, 14 ნოემბერი.

ბათომს და მის ოლქს «მოხელეური» მმართველი კი არ სჭირია, არამედ შემოქმედი, ხალხის საჭიროებების შემცნობი და აქაურ ჩამორჩენილ ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრების აყვავება-აღორძინებისთვის მომუშავე.

ასეთი მმართველის მიცემა ჩვენი მხარისთვის მხოლოდ საქართველოს დემოკრატიას შეუძლია.

ქართველი ერის მესაჭენი აღზრდილი არიან სახალხო დემოკრატიულ პრინციპებით, მათ უკეთილშობილეს ოცნებას შეადგენდა და წარმოადგენს ახლა ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლა. იმ დროს, როცა ეს ხალხი მონა იყო, ჩვენი ადრინდელი მმართველები რკინის გულით იბრძოდენ, ციხეებში ჰლპებოდენ, ციმბირში ეყრებოდენ სიცოცხლეს, თავს სწირავდენ ხალხისთვის ქართველი ერის თავისუფლებისთვის.

ბედნიერია საქართველოს ყველა ეროვნების და სარწმუნოების ხალხი, რომ დღეს მას ასეთი მეთაურები ჰყავს.

თბილისი—გული მთლიან საქართველოსი აქ, ბათომში, მის სიმაგრის და სისუსტის მიჯნაზე, ჰგზავნის ხალხოსნურ მოღვაწეობაში დამსახურებულ პირთ, რომელთაც ხალხისთვის თავის დადება მრწამსად აქვთ გადაქცეული. აქ იყო ბენია ჩხიკვიშვილი, ბებერი რევოლიუციონერი, მაგრამ ისევ ახალგაზრდა მებრძოლი, ცეცხლის ენერგიისა. მის მერე მოვიდა გრიგოლ გიორგაძე, ცნობილი მუშაკი ქართველ დემოკრატიისა და ჩვენ ვამბობდით, რომ დემოკრატიულ საქართველოში უბრალო „მოხელეებს“, ფორმალისტებს, ჩინ-ორდენისტებს, სავსეთ ქვენა ანგარებით, არა-

ეოლითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ.

პაპიროსები „ბლოკადა„

ახლად გამოშვებული საუკეთესო ბიბლიოთეკა

ფრანგული სააქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“

ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

სოდეს ჩაუვარდებათ ხალხის ბედიღბალი ხელში.

ჩვენში მართვა-გამგეობა ხალხის, დემოკრატიის, საუკეთესო საამაყო ბელადების ხელშია. გვახარებს რაც, გვინდა ეს სიკეთე იგრძნოს მთელმა ხალხმა საქართველოს კალთებ ქვეშ რომ ბოქცეულა.

გრიგოლ გიორგაძეს, როგორც ახალ მოსულს, ჩვენ ვეტყვით, რომ ქართველი დემოკრატი მმართველის ტრადიციით, ე. ი. ხალხთან სიახლოვით სრულ გამარჯვებას ირგუნებს ამ მხარეში

გრიგოლ გიორგაძე ყოველ ნაკლს მმართველობაში ფხიზელ თვალით გადახედავს და მას ბოლოს მოუღებს.

გრიგოლ გიორგაძე შეაფასებს ამა თუ იმ ხარისხის მმართველთა პერსონალურ ღირსებას და ხალხის ხმის თანახმად მოიქცევა მათ მიმართ

გრიგოლ გიორგაძე გააგრძელებს აქ დადებითი მოღვაწეობას: სკოლების გახსნას, ხელს შეუწყობს გზების, ხიდების გაყვანა-შეკეთებას, კოოპერატივების დაარსებას, ეკონომიურ და სასურსათო, საექიმო და სამეურნეო დახმარების გაფართოებას.

გრიგოლ გიორგაძე წესრიგში დასვამს კითხვათ ოლქის და ქალაქის გაწმენდას მაგნე ელემენტებისგან, რომლებიც ჩვენ ბედგიმარეობის აფორიაქებით გვემუქრებიან და გარეშე მტერს გზა და ხიდათ ედებიან.

ამ ძეირფას მუშაობაში განგებო კომისარეთან იქნება მთელი საზოგადოებრივი ძალა და მძრომელ ხალხის ნების ყოფა-თანაგრძობა.

ვიმუშაოდ ყველამ ხალხის კეთილდღეობისათვის, უარეყოთ ჯგუფური სიწვრილმანე და გამთიმავ გზებიდან დავადგეთ შემაერთებელ გზებს

ახალი საგანგებო კომისარი სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ქემალისტების გამბრწნელ მუშაობას ოლქში და მის აღმოსაფხვრელად სასტიკ ზომებს მიიღებს.

ამ მხრითაც ბ-ნ კომისარის ხელთ იქნება ხალხის სრული დახმარება, რომელსაც შეგნებით სძულს ქემალისტები, როგორც მატყუარები და აწიოკება-დარბევის გამამზადებნი.

სადღეისო შენიშვნები.

ბოლშევიკურ კრებში შემოსული რეაქცია

უნგრეთის ნაციონალურმა კრებამ დაადგინა უნგრეთში მონარქია აღადგინოს. ერთი წლის წინათ უნგრეთში წითელი დიქტატურა იყო დამყარებული და ბოლშევიკები მაშინ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას ცენტრალურ ევროპაში კომუნიზმის ციტადელათ თვლიდნ.

ჩვენ თავიდან ვამბობდით, რომ უმცირესობის წითელი დიქტატურა შავ რეაქციას აღზადებს ნიადაგსა და ასეც მოხდა უნგრეთში.

ბოლშევიკები სოციალიზმის დამყარებას ხიშტებით ლამობენ, მეცნიერული სოციალიზმის არგუმენტები ხიშტის არგუმენტით შესცვალეს. კომუნიზმი ერთნაირის გაფრთრებით ებრძვის როგორც მუშათა კლასს ისე რეაქციას. უნგრეთის მუშათა კლასი არ თანაუგრძნობდა კომუნისტურ რეჟიმს, მაგრამ ამან მაინც ვერაფერი ასწავლა უნგრეთელ კომუნისტებს, უნგრეთის საბჭოთა მთავრობა არავითარ კომპრომისზე არ წავიდა მუშათა კლასთან და დაეცა, წითელი დიქტატურა ბელა-კუნისა შესცვალა ამირბარ ხორტის შავმა რეაქციამ. შავი რეაქციის ტერორმა აუარებელი მუშა იმსხვერპლა. უნგრეთის ყოფილმა სახალხო კომისარებმა რუსეთს შეაფარეს თავი და იქ განცხრომით ცხოვრობენ.

უნგრეთელი მუშები კი პასუხს აგებენ რეაქციის ჩინაშე წითელი დიქტატურის მოქმედებისათვის. მაგრამ რას დაგიდევენ კომუნისტები მუშების სიცოცხლეს „გაუმარჯოს კომუნიზმს“ და თუნდა მთელი ქვეყანაც დანგრეულია.

უნგრეთის რეაქციამ დააგვირგვინა თავისი შავბნელი მოღვაწეობა—მოკლე ხანში ხალხის „უზენაესი ორგანოს“ ნაციონალური კრების დადგენილებით აღდგენილი იქნება მონარქია.

კომუნისტებს შეუძლიათ იამაყონ თავის ნამოქმედარით: კომუნიზმის ბერ დატოვებულ ნიადაგზე რეაქციის ყვავილი აღმოცენდა ვინატრებთ რომ რუსეთის დემოკრატიას ასცილებოდეს ეს ხვედრი, თუმცა ბოლშევიკები თავისი ურა პოლიტიკით მაგრათ უტკეპნიან გზას გვირგვინოსანის ან ტკეთეს შემთხვევაში ბურჟუაზიულ პრეზიდენტის მოსვლას.

რეაქცია წითელ სამოსელში.

უნგრეთის რეაქციას არ აკმაყოფილებს უნგრეთის მცირე ტერიტორია და ლამობს გაფართოვოს თავისი საზღვრები ამიბარ ხორტის და მისი ამალის მადაგახსნილობის ობიექტი ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკა გახდა რეაქციის აგენტები კომუნისტური პროპაგანდას აწარმოებენ მეზობელ სახელმწიფოებში, ცდილობენ ანარქია და სამოქალაქო ომი გამოიწვიონ იქ, რომ შემდეგ მღვრიე წყალში ადგილი დარჩეს თევზის დაჭერა—გემრიელი ლუკმის ხელშეუხლებლად გადაყლაპვა.

რეაქციონერ მოძრაობის ძაფები რომელსაც საფრანგეთი ხელმძღვანელობს, მთელ ცენტრალურ ევროპაშია გაბმული. საფრანგეთის მთავრობას ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებში მონარქიზმის აღდგენით სურს გაამაგროს თავისი გავლენა, რომელიც საკმაოთ შეირყა. გვირგვინოსნები, რომლებიც საფრანგეთის დახმარებით თავის ტახტებს დაიბრუნებენ, ვალდებულნი იქნებიან საფრანგეთს სათანადო ანგარიში გაუწიონ. რეაქცია ვერ ბედავს საჯაროზე გამოსვლას და წითელ სამოსელში ეწყობა. ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ძლიერდება კომუნისტური პროპაგანდა, მაგრამ როგორც პრაგის გაზეთებში გამოქვეყნებულ სარწმუნო ცნობებიდან სჩანს, კომუნიზმის მოციქულებში მრავლათ ურევია უნგრეთელ დიქტატორის ხორტის აგენტები.

კომუნიზმი და რეაქცია ერთად დაიარებიან, ორივეს აერთებს სიძულვილი დემოკრატიისადმი, ერთი მეორეს ასაზრდოებს. კომუნიზმმა უნგრეთში ნიადაგი მოუმზადა ხორტის დიქტატურას, ახლა ხორტი სცდილობს კვლავ კომუნიზმი გამოიყენოს თავის მიზნისათვის. ევროპის მუშათა კლასის წინაშე ახალი საფრთხე აღიმართა: წითელი და შავი რეაქცია გაერთიანებული ფრონტით დემოკრატიაზე თავდასხმისათვის ემზადებიან. მათ არ ეშინიათ ერთი მეორის, მათვის საშიშია მხოლოდ ჰეშმარიტ დემოკრატიის ფრონტი.

საფრანგეთის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას უწევს რეაქციონურ მოძრაობას, მოსკოვი მთავრობა მილიარდების გაგზავნით არ კმაყოფილდება და მეფის სამკაულებიდან განაძარცვ ბრილიანტებს ყიდის ლონდონის ბაზარზე ევროპის გაზეთების მოსასყიდათ და კომუნისტური პროპაგანდის გასაძლიერებლათ. ორივე ეს მოძრაობა დემოკრატიის წინააღმდეგ არის მიმართული.

მაგრამ ევროპის დემოკრატია, ჩვენ ღრმად გვწამს, გაუმკლავდება როგორც შავ ისე წითელ რეაქციას.

ე. წ—ძე.

საერთაშორისო მოვენტი.

ოსმალეთი ჯადოსან სფინქსად გადიქცა. აღმოსავლეთის იდუმალებანი ახალ სიცხადით ეშლება კაცობრიობას.

ახალ ქვეყნებს გაუხსნელი კვანძი წინ დაუგორდათ ბიზანტიის ნანგრევებზე.

ინგლის-საფრანგეთი საბერძნეთის „მოხერხებულად“ გამოყენებას ვეღარ აღწევენ. საბერძნეთს საკუთარი ინტერესები ბევრი ჰქონია, რომელმაც მათი განაღდება ჯარებს მიანდო. ინგლის-საფრანგეთი საბერძნეთს ახლა შებოჭვას უპირებენ, მაგრამ ამ დროს თვითონ დათხოვნილი ჰყავთ თავის ჯარები

საბერძნეთმა მოიწადინა ოსმალეთს მემკვიდრეობის მიღება, მოკავშირენი გვიან მიუხვდენ ვენიზელოსის პოლიტიკას. იტალია და საბერძნეთი წაჩხუბების შესავალში არიან. ინგლის-საფრანგეთი ოსმალეთის ტყავის გაძრობას თავს ანებებენ და მასთან მორიგებას ლამობენ.

ილუზიათ ჰქრება ინგლის-საფრანგეთის ჯადოსნური გეგმა ოსმალეთის დაყოფისა და გერმანიის მოკვლისა.

გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ახალი მთავრობა შეადგინეს სტამბოლს, რომლის მიზანიც სხვათაშორის არის ქემალ ფაშასთან მორიგება „ანტანტამ“ თუ შეიძლება მას ეს სახელი დღესაც ეწოდოს, გამარჯვების ძეგლ საყოფელად სომხეთის სახელმწიფოც ვერ შექმნა და ლამის არის ცოდვილი სევრის ზავი თავის კალმის მოსმითვე გააუქმოს.

ინგლის და საფრანგეთს მიუხედავად იმისა, რომ იქაურ ხალხს ცივი ნერვები აქვთ, ძაინც ეტყობათ საგრძნობი ნერვიულობა ეკონომიურ არევ დარევის და დემობილიზაციის ნიადაგზე წარმოშობილი, ინგლისში და საფრანგეთში მთელი არმიები დადის უმუშევართა, რომელთა პატრონობა მთავრობას რასაკვირველია არ შეუძლია. ამიტომ არის, რომ ინგლის-საფრანგეთი დიდ სიფრთხილეს იჩენენ და თითქის ყველაფერს ურიგდებიან გარდა რუსეთის საკითხისა.

ევროპის დავთარი არეულია, ბერძნული ოფიციალ ცნობებით იტალია ქემალ ფაშას ეხმარება, მაგრამ უმთავარესი მიზანი დასავლეთის სახელმწიფოებისა ისევ ის არის, რომ ოსმალეთი რუსეთს ჩამოაშორონ და ამ მხრით უნდა ველოდეთ ისინი ყოველგვარ შესაძლებლობას ამოსწურავენ

ბაქო ტრაპიზონი და მოსკოვი ინგლისისთვის არც ისე უმნიშვნელო საფრთხეა და დღეს შეიძლება ოსმალეთს ბევრი რამ დაუთმონ, თუ კი ის რუსეთს მოიშორებს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ი. დიდიძე.

ევგ. გეგეჭკორი მილიერანთან.

ელისეის სასახლეში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზ „ტანში“ 7 ოქტომბრის №-ში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგ. გეგეჭკორის დარბაზობის შესახებ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მილიერანთან:

„რესპუბლიკის პრეზიდენტმა ევროპის სხვა დიპლომატიურ კორპუსთან ერთად გუშინ მიიღო სადარბაზოდ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. ბ. გეგეჭკორი.

გეგეჭკორმა თავის სიტყვაში აღნიშნა შემდეგი: „საქართველოს უფლება აქვს იფიქროს, რომ საფრანგეთის ერი თანახმად თავის ტრადიციისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში მხარს დაგვიჭერს

„თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ოცი საუკუნის განმავლობაში საქართველო როგორც აღმოსავლეთის ალაყაფის კარები მედგრად იგერიებდა ბარბაროსული ლაშქრის პირველ დარტყმას და თავდადებით იცავდა დასავლეთის ცივილიზაციას.

საქართველო ყოველთვის ევროპისკენ იხედებოდა და რომ უფრო განმტკიცებია თავისი დამოკიდებულება დასავლეთის კულტურასთან, — ერთი საუკუნის წინად თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა.

უკანასკნელი დროის შემთხვევებმა საქართველო აიძულა ისევ უშუამავლო კავშირი დაეჭირა ევროპასთან. ჩვენმა ერმა დაიბრუნა არა მარტო თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ შეჰქმნა ფაქტიურად დემოკრატიული წესწყობილება, რომელიც დამყარებულია კანონიერ და ბუნებრივ ნიადაგზე; ყოველივე ეს მოხდა ხანგრძლივი ბრძოლითა და საკუთარი ძალების შემწეობით

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს ყველა მის გვერდით არსებულ მეზობელ სახელმწიფოსათვის, რომლებთანაც საქართველო ცდილობს საუკეთესო დამოკიდებულების დაჭერას. საქართველოს რესპუბლიკის ასეთი მისწრაფება არ შეიძლება

გამუერელიძის ცირკის შენოგაში.

კვირას, 14 ნოემბერს 1920 წ.

ნოე ჯესარიონის-ძე რამიშვილი

წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე;

„საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა“.

შემოსავალი გადაიდება პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატის სასარგებლოთ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ბილეთების ფასი 100 მ-დან 200-დე.

ეწინააღმდეგებოდეს საფრანგეთის ინტერესებს.

მოკავშირეებმა საქართველოს დამოუკიდებლობა თუმცა იცნეს ფაქტიურად, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვაქვს საერთაშორისო ინდივიდუალობა რადგანაც არა ვართ იურიდიულადაც ცნობილი.

ეს გარემოება ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანიზმსა და ხელს გვიშლის ევროპასთან საღი ეკონომიური კავშირი დავიჭიროთ.

ჩვენს ერს აქვს ღრმა რწმენა და იმედი, რომ იგი საფრანგეთში და მის სახელოვან პრეზიდენტში ჰპოვებს დამხმარე ძალას იურიდიულადაც საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში.“

ბ. მილიერანმა დარწმუნებით უპასუხა, რომ საფრანგეთი პატივისცემითა და სიყვარულით უყურებს საქართველოსა და მის მთავრობას, და რომ ამ მხრით აღმოჩენილი იქნება ყოველგვარი დახმარება. პრეზიდენტმა აღნიშნა ისიც, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოს შინაური ორგანიზაციის საქმეს, რაც შეეხება დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის საქმეს,—რასაც საქართველო შენატრის,—საფრანგეთის რესპუბლიკის მხრით ამ საქმეში იგი სრულებით უზრუნველ ყოფილია.“

უკანასკნელი საათი.

ქემელის სარდლობამ სომხეთის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა, რომელშიაც მოითხოვს სომხეთის ჯარების დემობილიზაციას და სამხედრო მასალების და იარაღის ჩაბარებას.

ქრონიკა.

თანახმად მთავრობას ბრძანებისა საგანგებო კომისარი იწოდება საგანგებო რწმუნებულათ.

საგანგებო რწმუნებული ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. სამხედრო ნაწილს განაგებს გენერალი მდივანი, სამოქალაქოს ნაწილის გამგეობა დროებით დაევალა პოლკ. სულაქველიძეს.

საგანგებო რწმუნებულმა გუშინ წინ ღამის 12 საათზე დაათვალიერა მილიციის სამართველო, პირველი კომისარიატი და მესამე უბნის საგუშაგოები.

საგანგ. რწმუნებულმა ზომები მიიღო ოლქისა და ქალაქის ადმინისტრაციის ქონებრივათ უზრუნველსაყოფათ. მას განზრახული აქვს ოლქის ძცხოვრებთათვის ტანსაცმელის შეძენა.

საგანგებო რწმუნებულმა განკარგულება გასცა, რომ ყველა ადგილობრივი უწყების მე აურებმა გაუკეთონ მას მოხსენება უწყების მდგომარეობის შესახებ ოლქში.

დღეს, 14 ნოემბერს შინაგან და განათლების საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნოე რამიშვილი გამუერელიძის ცირკში წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს შინაურ და გარეშე მდგომარეობის“ შესახებ, ლექციის დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

გუშინ ჩამოვიდენ ბათომში წარმომადგენლები მთელი ოლქისა, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთ ად იმსჯელებენ მომენტზე და ოლქის მოწყობის შესახებ

— ქალალდის სიძვირე „ბათუმის ფურცელის“ რედაქციას სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ ჩვენ ფულზე ფუთი ქალალდი ათი ათასი მანეთი ღირ ო

ჩვენს რედაქციას აცნობებენ, რომ უკრაინის (პეტლიურას) კონსული ყვ ლა რუსს აძლევს უკრაინის ქვეშერდომობის მოწმობას რათა ისინი ამით მობილიზაციდან განთავისუფლდენ, საზოგადოთ ამ ნიადაგზე უცხოეთის საკონსულოები თავის უფლებებს სცილდებიან და მობილიზაციიდან ანთავისუფლებენ სუყველას, საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მოექცეს ვისგანაც ჯერარს.

ბერძნულ ეროვნულ საბჭოს წევრი კ ბოპოფდოპულო გვაცნობებს, რომ ბერძნები ყველანი არ სარგებლობენ საბერძნეთის ქვეშევრდომობის უფლებით და რომ ადგილობრი ი ბერძნები ჯარის გარეშე არ დარჩენ ამისათვის საჭიროა სამობილიზაციო მ-მლებ კომისიაში შეყვანილ იქმნას საქართველოს ელინთა საბჭოს წარმომდგენელი.

ნოემბრის 12-ს საგანგებო კომისარის ბინაზე თათბირი ქონდა ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს ოლქის მართვა გამგეობის შესახებ.

ბათომის ხაზინა ატყობინებს საგანგებო კომისარს, რომ იტალიის საერთო ნაწილს გაეხსნა სესხი 2,000,000 მანეთი.

სტამბოლის ცნობები.

(საკ. კორესპ.)

არჩევნები საბერძნეთში დღეს კვირას უნდა დასრულდეს.

ვენიზელოსის გაყვანის სრული იმედი აქვთ ჯერჯეროით მან მიიღო 300.000 ხმა.

— საბერძნეთში აღშფოთებული არიან იმ ამბით, რომ იტალია ქემალ-ფაშას ეხმარება.

— ოსმალეთის ახალ მთავრობის ზურგს უკან მრჩევლებათ და მოკარნახეებათ ინგლისელები და ფრანგები არიან.

— მოკლე დროში მოელიან უთანხმოებას იტალიასა საბერძნეთსა და ინგლის-საფრანგეთ შორის.

— ხმებია ინგლისის საგარეო საქმეთა საინისტროს საფრანგეთს საიდუმლოთ ურჩია ვრანგელის დახმარებას თავი გაანებოს და რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე ხელი აიღოს.

— ქემალ-ფაშას განზრახვა აქვს სულ რამდენიმე კვირაში შევიდეს ბაქოში.

— სტამბოლში ლაპარაკობენ, რომ ქემალ-ფაშასა და ბოლშევიკებს შორის უთანხმოება უკვე დაიწყო.

— კომუნისტური რუსეთი დიდი წინააღმდეგი ყოფილა ქემალ-ფაშის ბაქოსკენ გალაშქრების, მოსკოვს გეგმა მიუცია ქემალისთვის სტამბოლზე წადიო, მაგრამ მას ეს არ შეუსრულებია.

— საბჭოთა აზერბაიჯანს და აზერბეიჯანის ძველ მთავრობის წევრებს საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ გამართული ქემალ ფაშასთან ახლოებელ მოქმედების შესახებ.

ნაციათა საზოგადოება.

ნაციათა საზოგადოების სეკრეტარიატის მეთაურია საზოგადოების მდივანი ჯემს ერიკ დრიუმონდი (ინგლისი) (ინგლისის პრემიერის ყოფილი მდივანი). მის განკარგულებაშია ოთხი თანაშემწე.

საზოგადოების ბიბლიოთეკის განაგებს ამერიკელი ქალი მის ფლორენს გილსონი.

წინადადებანი და პროექტები, დამუშავებული სეკრეტარიატის მიერ, ნაციათა საზოგადოების მიერ განხილვის შემდეგ უნდა დაამტკიცოს საზოგადოებაში შესულმა სახელმწიფოებმა. მათ მიერ მიღების შემდეგ ამ პროექტებს ეძლევა ინტერნაციონალური კანონების ხასიათი.

სეკრეტარიატის მოქმედება იყოფა 10 სექციათ: 1) პოლიტიკური განყოფილება. 2) იურიდიული (რომელიც შემდეგ უნდა ალეს საერთაშორისო ტრიბუნალად უნდა იქცეს). 3) პოლიტიკური ეკონომია და ფინანსები. 4) ადმინისტრაცია (საკანტროლო და აღმასრულებელი განყ.). 5) ტრანზიტი. 6) ინფორმაცია 7) მანდატები (არათავისუფალ და დამოკიდებულ სახელმწიფოთა ინტერესები. იარაღი, ოპიუმით და ალკოგოლით ვაჭრობის თვალყურის დევნება). 8) ინტერნაციონალური ბიურო. 9) რეგისტრაცია. 10) საზოგადო განყოფილება,

სეკრეტარიატმა მოქმედება დაიწყო 1 ნოემბრიდან. განსაკუთრებული ინტერნაციონალური ბიურო უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს ჟენევაში. ბიუროს დირექტორია ალბერ ტომა.

ნაციათა საზოგადოების კონგრესი გაიხსნება 15 ნოემბერს. ამ დღეებისთვის ჟენევა ამზადებს დღესწაულების მთელ რიგს.

მოელიან კორესპონდენტებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, დაახლოვებით სამას კაცამდე.

განაღდდა ჟენევის დიდი ხნის ოცნება—ის საერთაშორისო სატახტო ქალაქია.

სხვა და სხვა ამბები.

საჰაერო მიმოსვლა, პარიზი—კონსტანტინეპოლი.

საფრანგეთის მთავრობამ კონვენცია დასდო რუმინიის და ოსმალეთის მთავრობასთან საჰაერო საფოსტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ პარიზსა და კონსტანტინეპოლს შუა ბესარაბიის შეერთება რუმინიასთან.

28 ოქტომბერს რუმინიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და რუმინიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს ბესარაბიის რუმინიასთან შეერთების შესახებ. ტრაქტატში ნათქვამია, რომ რუსეთს მოიწვევენ ტრაქტატზე ხელის მოსაწერად როდესაც შეიქმნება სრულიად რუსეთის მთავრობა, რომელსაც ტრაქტატზე ხელის მოწერი სახელმწიფონი იცნობენენ.

შეიდემანის განკარგულება.

შეიდემანმა გერმანიის რეინსტაგში განაცხადა, რომ სოციალისტები მოითხოვენ აღდგენილი იქნას საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, რადგან ბოლშევიკები არიან დღეს მთელი რუსეთის ბატონ-პატრონნი, გერმანიის კი რუსეთის ნედლი მასალა ესაჭიროებოდა.

უკრაინა და რუსეთი.

პეტლიურას უკრაინის მთავრობის თავმჯდომარე ლევიცკიმ პრესის წარმომადგენლებთან ბაასში განაცხადა, რომ უკრაინასა და ვრანგელს შორის შეთანხმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ვრანგელის მთავრობა უდაოდ იცნობს უკრაინის დამოუკიდებლობასო.

უცხოეთი.

საფრანგეთი.

ფრანგი მეზღვაურები და ვრანგელი.

ოქტომბრის 22-ს მარსელიდან უნდა გასულიყო გემი, რომელსაც გენ. ვრანგელის არმიისათვის სხვა და სხვა სამხედრო მასალა უნდა წაელო. მეზღვაურთა კავშირმა წინადადება მისცა გემის მეზღვაურებს სამხედრო მასალა არ წაელოთ. კავშირის წინადადება მეზღვაურებმა შეასრულეს.

სამხედრო სამსახურის ვადა.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტროში თათბირი ხდება სამხედრო სამსახურის ვადის შემოკლების შესახებ. აზრათ აქვთ სამხედრო სამსახური ორ წლამდი შეამცირონ, შემდეგ კი 18 თვემდი ჩამოიყვანონ.

რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

სოციალისტურმა პარტიამ და შრომის კონფედერაციამ დადგინეს მიიღონ ზომები საფრანგეთის მთავრობის რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ დადგინეს ამ მიზნით გაერთიანებულ იქნას მოქმედება სოციალისტური პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის და ადამიანთა უფლების დაცვის ლიგის.

ინგლისი.

ირლანდიის საკითხი თემთა პალატაში.

არტურ ჰენდერსონმა თემთა პალატაში რეზოლიუცია შეიტანა, რომელშიც მოითხოვდა საპარლამენტო ანკეტას ირლანდიის საქმეების შესახებ. თავის სიტყვაში ჰენდერსონმა დაუმატა, რომ სინფეინერთა მოქმედება გამოწვეულია მთავრობის პოლიტიკით, რომელსაც პროვოკაციული პოლიტიკა უნდა ეწოდოსო.

სტატს სეკრეტარმა ირლანდიის საქმეების შესახებ გრინვუდმა, ჰენდერსონის საპასუხო სიტყვაში თქვა: „ყველაფერი ის, რაც ირლანდიაში ხდება არის კარგათ მოწყობილი შეთქმულება, რომლის მონაწილენი კარგ გასამრჯელოს იღებენო. ამ შემთხვევაში მე ვსარგებლობ თვით კორკის ლორდ-მერისიერ ნათქვამ სიტყვებით.

ჩვენ აღვადგენთ წესრიგს ირლანდიაში და ჩავიქრობთ ტეროორს, ზოგიერთ ადგილებში წესრიგი უკვ აღდგენილია. მე უარყოფითად უყურებ რეპრესიებს, მაგრამ მესმის პოლიციელების საქციელი“.

გრინვუდის შემდეგ ილაპარაკენ ლორდმა რობერტ სესილმა და ასკვიტმა, რომლებიც მიუთითებდენ, რომ რეპრესიები დასაშვები საზღვარს

საფაბრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74

კავკასიური ნაფურალური კომპანია
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.

კურის ღვინო
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.
ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მოელია.

სკილდებიან, ირლანდიაში ამკარა ძალადობა ხდება მშვიდობიან მოქალაქეებზეო.

ორივე ორატორს უპასუხა ბონარ-ლოუმ, რომელმაც განაცხადა: ასკვიტის მომხრეები ამბობენ, რომ ჩვენ უნდა დაგიხიოთ ბოროტ-მოქმედებათა წინაშე ამათ, ვისი ამრიც გადმოქცათ სტატს-სეკრეტარმა, არანაკლებ სწყურიათ ირლანდიაში მშვიდობიანობის დამყარება, ჩვენ გვსურს მივცეთ ირლანდიას დამშვიდებული მსჯელობის შედეგში ყველაფერი რაც სამართლიანია, მაგრამ ვერ მივცემთ ვერაფერს, რასაც აკვლელობის წინაშე დათმობის ხასიათის იქნებოდა.

პალატამ ჰენდერსონის წინადადება უარყო 346 ხმით 79 წინააღმდეგ.

ლოზოვსკის მოწოდება.

ბოლშევიკების გაზეთ „Rote Fahne“-ში გამოქვეყნდა ლოზოვსკის მიმართვა ინგლისელ მუშებისადმი, რომელშიც ის მოუწოდებდა მათ მეტი სიმტკიცისაკენ კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხო სოც. დემოკრატების არ დაშვება საბჭოთა რუსეთში.

ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „Pravo Lidu“ იუწყება, რომ საბჭოთა წარმომადგენლებმა რეველში ნება არ დართეს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის ნაწილს საბჭოთა რუსეთში შესულიყვენ. რეველში დააკავეს გაზ. „მეტალურგისტ“-ის რედაქტორი ვ. დუდნერი, გაზ. „რაბოჩი“-ს რედაქტორი მიტაკი, მდივანი ბრნო და გატინი, დელეგატი სმიხოვიდან. დელეგაციის დანარჩენი წევრებს ნება მისცენ მგზავრობა განეგრძოთ.

„Pravo Lidu“ უმატებს: ხსენებული ამხანაგები კომუნისტები არ არიან. გატინი—სოც. დემოკრატ. პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრია, ეკუთვნის მემარცხნე ფრთას, მაგრამ არ იზიარებს კომუნისტურ ექსტერმიზს.

მოსკოველი ბოლშევიკები პრაგაში.

მოსკოვის პროფ. კავშირთა წარმომადგენლები სერგეევ-ლებედევი, კულიკოვი და ფეინბერგი, რომლებიც პრაგაში იმყოფებოდენ, მიიწვიეს პოლიციის სამმართველოში, დაგანუცხადეს რომ მათ მისცენ ჩეხოსლოვაკიაში დარჩენის უფლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უარს იტყვიან ყოველგვარ აგიტაციაზე. ამის გამო პოლიცია მოითხოვს მათგან, რომ მათ არავითარი აგიტაცია არ აწარმოონ პროფ. კავშირებში.

პოლონეთი.

პოლონეთის მთავრობა და ვილნოს ინციდენტი.

პასუხში, რომელიც გადაეცა მოკავშირეთა წარმომადგენლებს, პოლონეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ მას არ დაურღვევია ლიტვასთან დროებითი ზავის პირობები. პოლონეთის მთავრობა ვერ აგებს პასუხს ისეთ ინციდენტების გამო, რომელსაც თვითონ კიცხავს, კერძოთ პოლონეთის მთავრობა ვერ იქნება პასუხისმგებელი ვილნოს დაკავების საკითხში, რომელიც გენ. ჟელიგოვსკის არ დამორჩილების შედეგია.

გენ. ჟელიგოვსკის ჯარების მოქმედება.

ცენტრალური ლიტვის (ჟელიგოვსკის) ჯარებმა ტყვეთ ჩაიგდეს ლიტვის მთავრობის პირველი დივიზიის შტაბი გენ. ნატოპკას მეთაურობით, აგრეთვე მრავალი ოფიცერი და ჯარის კაცი.

პილსუცკის მიმართვა.

პილსუცკიმ პოლონელ ჯარის კაცებს მოწოდებით მიმართა, რომელშიც მადლობას უხდის სამშობლოს საკეთილდღეოთ თავდადებულ სამსახურისათვის, რამაც პოლონეთს საშვალება მისცა გამხდარიყო ძლიერი და თავისუფალი.

მოწოდების ბოლოში ნათქვამია:

ზავზე ხელი საბოლოოთ ჯერ არ არის მოწერილი. პოლონეთის ჯარის კაცმა უნდა უცადოს მას დამშვიდებით და მოთმენით იარაღით ხელში და ყოველ წუთს მზად უნდა იყოს თავის ბრძოლით მონაპოვარის დასაცავად. „ამ მოთმინებას და სიმშვიდეს მე კატეგორიულათ მოვითხოვ თქვენგან“.

პოლონეთ-ლიტვის ფედერატიული რესპუბლიკა.

გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგის“ მიერ ვარშავიდან მიღებულ ცნობებით ვიტოლდ აბრამოვიჩმა, გენ. ჟელიგოვსკის მიერ ვილნოში შექმნილი მთავრობის პირველმა მანიფესტმა განაცხადა, რომ შუა ლიტვა შეუერთდება ლიტვის რესპუბლიკას კოვნოს იმ პირობით, რომ ახალი ლიტვა იქნება ფედერატიული რესპუბლიკა, რომელიც შეუერთდება პოლონეთის რესპუბლიკას. თუ კოვნოს მთავრობა უარს იტყვის ამ გეგმაზე, მაშინ ვილნო შეუერთდება პოლონეთს. დამფუძნებელი კრება, რომელსაც ჟელიგოვსკი მოკლე ხანში იწვევს ვილნოში გადასწყვეტს ამ საკითხს.

საბჭოთა რუსეთი.

„გაძარცვე ნაძარცვი“

მოსკოვის გაზეთები 9 ოქტომბრის თარიღით იუწყებიან:

„რიბინის შესახვევით მიჰქონდათ $287^1/_2$ მილიონის ფულის ნიშნები. ტრეტიაკოვის შესახვევთან მათ წამოეწია ავტომობილი, რომელშიც რამდენიმე შეიარაღებული პირი იჯდა, მათ ამოღეს რევოლვერები და უბრძანეს ფულის ყუთის მცველებს დაწოლილიყვენ, შემდეგ სასწრაფოდ გადმოზიდეს ფულები თავის ავტომობილში და მიიმალენ, არავითარმა საშვალებამ არ გაჭრა—ბოროტმოქმედთა კვალიც გაქრა.

საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი.

პარიზის გაზეთის ცნობით საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტით 1920 წლისათვის ნავარაუდევია 1 ბილიონი 160 მილიარდი მანეთი ხარჯები, შემოსავალი კი 150 მილიარდი. დეფიციტი დაფარული იქნება ქაღალდის ფულის ახალი ნიშნების გამოშვებით.

გლეხების მოძრაობა.

უკრაინაში გლეხების მოძრაობა დაიწყო საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მრავალ ადგილებში აჯანყება ხდება. განსაკუთრებით გამწვავებულია მდგომარეობა კრემენჩუგის რაიონში. კომუნისტები მოძრაობის ხელმძღვანელობას ესერებს აბრალებენს. მოსკოვში და პეტროგრადში სასტიკ ზომებს მიმართავენ „საბჭოთა მთავრობის მტრებთან“ საბრძოლათ.

ესერების მოწოდება.

„პრავდა“ იუწყება, რომ მემარცხნე ესერებმა გამოიმუშავეს მოწოდება, რომელშიც საბჭოთა რეჟიმს „რუსულ კატორღას და კომუნისტურ საპყრობილეს“ უწოდებენ. ესერები მოუწოდებენ ხალხს რევოლიუციისაკენ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. „პრავდა“ აფრთხილებს ესერებს, რომ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

სასურსათო დაბრკოლებანი.

დეპეშა, რომელიც ამბოდან (ფინლიანდია) მიიღო „ტაიმსის“ რედაქციამ, ამოწმებს სხვა გაზეთების ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობამ კონტრევოლიუციონურ გამოსვლების შიშის წინაშე მ სკოკში საალყო წესები გამოაცხადა. სასურსათო მდგომარეობა ძლიერ გამწვავდა. ჰურის რეკვიზიციებს, რომელიც მოსკოვის გუბერნიაში მოახდინეს, გლეხებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ლენინი სწერს „პრავდაში“: ჩვენს რესპუბლიკას ჯერ არ განუცდია ასეთი მძიმე სასურსათო კრიზისი. მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კრიზისთან ბრძოლაში, თუ საჭირო დარჩა გლეხებს აიძულებენ ეს ქნან“.

ბოლშევიკების ამირბარი.

შავი ზღვის ფლოტის (რომელიც ბოლშევიკებს ჯერ არ ყავთ) ამირბარათ მოკოვის მთავრობამ დანიშნა მეხლვაური იზმაილოვი, კერენსკის დროს ბალტიის ფლოტის კომისარი, გემების უქონლობის გამო იზმაილოვი ნაპირების გამარებას შეუდგა. პირველ ყოვლისა ნაღმები ჩაყარეს ოდესის ნავთსადგურის შესავალში. ზოგიერთ ადგილებში ზარბაზნები დადგეს.

შავი ზღვის ნაპირების დაცვა დავალებული აქვს მეთოთხმეტე ბოლშევიკური არმიას უბეროვიჩის მეთაურობით.

საბჭოთა წარმოება.

გაზ. „პოსლ. ნოვოსტის“ ცნობით მუშა ხელის, სათბობი და ნედლი მასალის ნაკლებობის გამო გაჩერდა კოლომენის და მიტიშჩენის ქარხნები. პეტროგრადში დაიწვა 3 ქარხანა, მათ შორის ლითონის დამმუშავებელი ქარხანა ბარანოვისა.

ანტი-ბოლშევიკური მოძრაობა.

გაზ. „პოსლ. ნოვოსტი“ № 159 იუწყება: ნოვო-ნიკოლაევსკის რაიონში აჯანყდა მსროლელთა მე-30-თე დივიზია. ოფიცრების ხელმძღვანელობით დივიზიამ ქ. ნოვო-ნიკოლაევსკი დაიკავა.

„იზვესტია“ იუწყება, რომ ტომსკი აჯანყებულმა გლეხებმა დაიკავა.

მიღებულია ცნობები უკრაინაში მთელ რიგ აჯანყებების შესახებ. მდგომარეობა იმდენათ გართულდა, რომ ზინოვიევმა თავის სიტყვაში განაცხადა: ბრძოლას აჯანყებულთა მხრით პირდაპირ მხეცური ხასიათი აქვს აჯანყებულებს იარაღის არსენალები აქვთ. ცენტრის დეკრეტები არ სრულდება. ბოლოს და ბოლოს ასეთი მდგომარეობის გაგრძელება კატასტროფამდე მიგვიყვანს.“

სარედაქციო კოლეგია.

გამყრელიძის ცირკი.

კვირას 14 ნოემბერს
გაიმართება თუთხმეტი წლის
საიუბილეო
დღესასწაული გამყრელიძის ცირკის მთავარი გამგის
ლ. მ. ხუნდაძისა
1. ბბ. ოტტოს და ტარლეს გასტროლი.
2. 1 გასტრ. ცნობილ ლეოტარისა და
სხვა № №.
გაიმართება ინგლისური ბოქსი.
უცნობი—ერმაკოვ ს წინააღმდეგ
კავკასიური ჭიდაობა:
1. გენჟა-ალი—ჟან-დე-კოლონის წინააღმდ. 2. კარა-იუსუფი—მაკაროვის წინააღმდ. 3. წითელი ნიღაბი—მურომეცის წინააღმდ.

დაიკარგა სასურსათო ბარათი №925 მიცემული კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე კაკულიანის სახელზე.
ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ელექტრო-მბეჭდავს სტამბა ხ. ჟ. იმაევსკისა მ ხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.